ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6359782

ნომერი: AR1951758

თარიღი : 28.02.2023

გაცემის თარიღი : 09.03.2023

გაცნობის თარიღი : 10.03.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვეკუა , N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თათა სახელაშვილი პ/ნ 01024015149
- არსენას 93

ორგანიზაცია:

- სს "საქართველოს სავაჭრო ცენტრი" კოდი: 204383443

ნომენკლატურა :

- სავაჭრო ცენტრი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სავაჭრო ცენტრი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი მახარაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "არქიტერია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405292295

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: სს "საქართველოს სავაჭრო ცენტრი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204383443
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თათა სახელაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024015149

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 5995454
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 27.06.2022

ქ. თბილისის მუნიციპლიტეტის მერიის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2022 წლის 27 ივნისის №5995454 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპლიტეტის მერიის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2022 წლის 17 მარტის №5850138 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – კრწანისი), ვეკუას ქუჩა N3, სააქციო საზოგადოება „საქართველოს სავაჭრო ცენტრი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.18.03.011.001) სავაჭრო ცენტრის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. 2022 წლის 27 ივნისის №5995454 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 27 ივნისიდან 2022 წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით

2022 წლის 09 ოქტომბრის N AR1927536 განცხადების საფუძველზე სამსახურის 2022 წლის 01 ნოემბრის № 6180549 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2022 წლის 27 ივნისის №5995454 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში. კერძოდ ჩანაწერი: "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით" შეიცვალა ჩანაწერით" "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 01 ნოემბრიდან 2023 წლის 01 მარტის ჩათვლით";

2023 წლის 28 თებერვლის AR1951758 განცხადებით სამსახურს მომართა მოქ. თათა სახელაშვილმა, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2022 წლის 27 ივნისის №5995454 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განაცხადის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 ივნისის №5995454 ბრძანებაში, კერძოდ "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით" შეიცვალოს "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 09 მარტიდან 2023 წლის 09 ივლისის ჩათვლით";
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.